ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725164001
თარიღი:13/06/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა

ოქმი N-07

დ. ლენტეხი 11 ივნისი 2025 წ

მიმდინარე წლის 11 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 8(რვა) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა დაინიშნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 10/06/2025 წლის N-96-96251621 წინადადების საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ მოწონებულ ინფრასტრუქტურულ პროექტების ნუსხაში შედის ცვლილება. არ იცვლება თანხები, იცვლება მოსახლეობის თხოვნით შესასრულებელი სამუშაოები. კერძოდ: ბავარის მოსახლეობამ მოითხოვა ბეტონის საფარის დაგების

მაგივრად ხიდ-ბოგირების მოწყობა, სოფ. მელეში ბეტონის საფარიანი გზის მაგივრად გაკეთდება გზის საყრდენი კედელი, სოფ ესიერში წყალსადენის სისტემის მოწყობის მაგივრად ჩაისმება ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა, სოფ. მუწდიში წყალსადენის მაგივრად დაიგება ბეტონის საფარიანი გზა და სოფ. ხელედში თამარ მეფის სახელობის ტაძრამდე ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა შეიცვალა მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ნინო ბენდელიანმა, რომ სოფ. მუწდიში ზამთარში არავინ არ ცხოვრობს და არ მიაჩნია სწორი გზის ამ მონაკვეთზე ფულის დახარჯვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზაფხულში ამ სოფელში არის მოსახლეობა და ითვალისწინებენ მოსახლეობის თხოვნას, რომ შესასვლელში 200 მეტროზე არის ოყალო მიწა და ძალიან რთულია იქ ტრანსპორტით მოძრაობა. რაც შეეხება სოფლებს, სადაც არის მუდმივად მაცხოვრებელი ოჯახები იქ გათვალისწინებული გვაქვს ოთხჯერ მეტი თანხები.

აზრი გამოთქვა: ჟახუნდერის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ მის თემში სოფ. სასაშში ფარის უბანში არის რვა ოჯახი, სადაც არ არის სამანქანო გზა. მით უმეტეს, რომ არიან მოხუცები და სასწრაფო მანქანის მისვლა შეუძლებელია. ამ დროს ლამფალაშში არავის არ ცხოვრობს და ამ პრობლემის ფონზე ბეტონის კედლის მოწყობა არ არის ისეთი აუცილებელი.

აზრი გამოთქვა : საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - რადგანაც ეს საკითხი არ იყო შეთანხმებული მაჟორიტარ დეპუტატთან, ამიტომ ლამფალაშის პროექტი შევაჩეროთ, კურატორ მოადგილესთან შეთანხმებით დაკორექტირდეს ეს პროექტი და ჩაისვას ფარის უბანი.

საკითხთან დაკავშირებით სხვა განსხვავებული აზრი არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტის მოწონება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

თავი შეიკავა ნინო ბენდელიანმა

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე. (დანართის მე-3 პუნქტში ,,ლამფალაშში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობ-ის“ ამოკლებით).

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი